შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

თამარ მახარობლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ელ.ფოსტა: t.makharoblidze@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას – სასჯელის დანიშვნას. ნაშრომისთვის შერჩეულია შინაპატიმრობა, რომელიც როგორც სასჯელის სახე, ნოვაციაა ქართული სისხლის სამართლისთვის, შესაბამისად, საჭიროებს მეტ ყურადღებას. შინაპატიმრობა, არის ალტერნატიული სასჯელის სახე. იგი თავისი არსით იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ არასრულწლოვანმა არ შეიცვალოს გარემო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სასჯელი მაინც დიდი რისკის შემცველია და აუცილებელია დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ. არასრულწლოვანთა მიმართ არასწორი სასჯელის შეფარდებისას გამოწვეული ზიანი თავს იჩენს ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფო დონეზე და საჭიროებს კომპლექსურ და თანმიმდევრულ მიდგომას. ამის გათვალისწინებით, აქედანვე გვმართებს მეტი თეორიული კვლევა ახალი სასჯელის ირგვლივ.

წინამდებარე სტატიაში განხილულია შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები იუვენალურ იუსტიციაში, კერძოდ, ისეთები, როგორიცაა შინაპატიმრობის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობების დაკისრება და აღნიშნული სასჯელის დამატებითი სასჯელის სახით დანიშვნის შესაძლებლობა. ნაშრომში, ასევე, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შინაპატიმრობის დანიშვნის საკითხს ცალკეულ დანაშაულთა დროს. სტატიაში თემის ირგვლივ, საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებასთან ერთად, ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის საჭიროება და გზები. აუცილებელია, კანონმდებელმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს არასრულწლოვანთა წინაშე და განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები. ამით იგი გამოხატავს, რომ მისი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი არის ერთი რიგითი არასრულწლოვანი, მომავალი თაობის წარმომადგენელი.

საკვანძო სიტყვები: სასჯელი, იუვენალური, იუსტიცია

Controversial Issues of Imposing House Arrest in Juvenile Justice

Tamar Makharoblidze

PhD Student at Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Email: t.makharoblidze@gmail.com

ABSTRACT

The following article discusses one of the most current issues in juvenile justice – the sentencing. House Arrest has been selected for this article, because, as a sentence, it is a novelty for Georgian criminal law, therefore, it needs more attention. The aim of the article is to research juvenile justice legislation for its refinement and perfection. The article uses analytical, sociological and comparative-legal research methods.

House Arrest is an alternative form of punishment. It gives opportunity for a minor not to change his or her environment, but this punishment is still very risky and it is necessary to be careful. Damage caused by improper sentencing to minors manifests itself at the individual, family, community, and state levels and requires a complex and consistent approach. According to this, we need to do more theoretical research regarding the new sentence.

The following article discusses issues such as imposing additional obligations on a minor with house arrest and the possibility of sentencing house arrest as an additional sentence. The article also pays due attention to certain crimes under the Criminal Code of Georgia, which, preferably, include house arrest as a form of punishment for juvenile sentencing. The article, along with identifying legislative gaps, includes the need and ways to eliminate them. It is necessary that the legislator takes responsibility in front of minors and amends laws, thus, making it very clear that the object of his special care is a minor, a representative of the next generation.

KEYWORDS: Sentence, Juvenile, Justice

შესავალი

სასჯელის მოძღვრებაში სასჯელის შეფარდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მისი სწორად შეფარდება პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულის უფლებების დაცვასთან. შეფარდებული სასჯელის სამართლიანობა დამოკიდებულია როგორც კანონმდებელზე, ასევე მოსამართლეზე.[1] მოსამართლე ვერ დაეყრდნობა სამართლიანობის იდეას, მაგრამ მას შეუძლია დაეყრდნოს სამართლიანობის მასშტაბს, რომელიც დადგენილი აქვს კანონმდებელს.[2] სამართლიანობა შეფასებითი ცნებაა.[3] სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.[4] სასჯელის შეფარდების საკითხი დიდი მნიშვნელობის მქონეა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც.

საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია სპეციალური საკანონმდებლო აქტის შექმნა იუვენალურ იუსტიციაში. მაშინ როდესაც, საქართველოში 2009 წლამდე არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიაც კი, 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიიღო, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, ახალი, უფრო ლიბერალური ხედვები შემოგვთავაზა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის – სასჯელების გარშემო. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე, ალტერნატიული სასჯელების როლი თავისებურად წარმოჩინდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც გვთავაზობს საპატიმრო სასჯელის ალტერნატიულ სახეებს, მათ შორის, სრულიად ახალ სასჯელის სახეს – შინაპატიმრობას, რომელიც კოდექსის დანარჩენი მუხლებისგან განსხვავებით, უფრო ადრე, 2015 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. მნიშვნელოვანი საკითხია სასჯელის დანიშვნისას შინაპატიმრობის გამოყენების თავისებურებები, მით უფრო, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც ინტელექტუალური მოუმწიფებლობის გამო, ზოგადად, სამყაროს, კერძოდ კი, კანონის აღქმა შეზღუდული აქვს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები იუვენალურ იუსტიციაში, კერძოდ, შინაპატიმრობის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობების დაკისრებისა და აღნიშნული სასჯელის დამატებითი სასჯელის სახით დანიშვნის შემთხვევები. ნაშრომში, ასევე, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ დანაშაულებს, რომლებიც, მიზანშეწონილია, ითვალისწინებდეს შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს, არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდებისთვის. სტატიაში გამოყენებულია ანალიტიკური, სოციო-

1 ცქიტიშვილი, თ. და სხვები, 2016. სასჯელის შეფარდების საკითხისთვის. გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი: მერიდიანი, გვ. 122.

2 ხუბუა, გ., 2015. contra legem საქართველოს სახელით. საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, [წვდომის თარიღი 30 აპრილი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/

3 ხუბუა, გ., 2004. სამართლის თეორია. თბილისი: მერიდიანი, გვ. 67.

4 ლეკვეიშვილი, მ. და სხვები, 2011. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი. 4 (43), თბილისი: გვ. 22.

ლოგიური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

1. შინაპატიმრობის შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი

შინაპატიმრობა, ე.წ. ,,House Arrest", მსოფლიო სისხლის სამართლის ისტორიაში სასჯელის ახალი სახე არ არის. იგი პირველად XVII საუკუნეში იქნა გამოყენებული ცნობილი მეცნიერის, გალილეო გალილეის მიმართ. 1633 წელს, მას ,,წმინდა ინკვიზიციამ" ყოველკვირეული მონანიების ფსალმუნების კითხვისა და კოპერნიკის სწავლების უარყოფის გამო, სამუდამო პატიმრობა შეუფარდა, რომელიც შინაპატიმრობით შეეცვალა. აღნიშნული სასჯელი მას უვადოდ ჰქონდა შეფარდებული და 1642 წლამდე ანუ გარდაცვალებამდე იხდიდა.[5] მას შემდეგ, ბევრმა ცნობილმა ადამიანმა სიცოცხლის ბოლომდე თუ მის განმავლობაში მოიხადა სასჯელი შინაპატიმრობაში. საკუთარ რეზიდენციაში, ქალაქ რამალაში შინაპატიმრობაში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები, ასევე, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ და პალესტინის ეროვნული მთავრობის პრეზიდენტმა იასირ არაფატმა.[6] ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების მოლოდინში, სმოლენსკში გადასახლებულმა უფლისწულმა ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონმაც შინაპატიმრობაში დაასრულა სიცოცხლე.[7] შინაპატიმრობაში სამჯერ იყო მიანმელი პოლიტიკოსი ადამიანის უფლებათა დამცველი, აუნ სან სუ ჩი 1989-1995, 2000-2002 და 2003-2010 წლებში.[8] ადამიანის უფლებათა აქტივისტმა ანდრეი სახაროვმაც ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო შვიდი წელი შინაპატიმრობაში გაატარა ქალაქ გორკში.[9] ცნობილი კინემატოგრაფისტი რომან პოლანსკიც შვეიცარიაში სქესობრივი დანაშაულის გამო შინაპატიმრობაში იხდიდა სასჯელს[10] და ა.შ. ასეთი ადამიანების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიაში შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

შინაპატიმრობა ამერიკაში პირველად 1983 წელს, ნიუ-მექსიკოს შტატში გამოიყენეს. ამის შემდეგ აღნიშნული სასჯელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 1988 წლისთვის ამერიკის 32 შტატის მასშტაბით შინაპატიმრობაში მყოფი 2,300 მსჯავრდებული იყო,[11] ხოლო ათი წლის შემდეგ, 1998 წლის იანვრისთვის, მათი რაოდენობა 95,000 მსჯავრდებულს აჭარბებდა. სხვა ქვეყნებში

5 The trial of Galileo Galilei, [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm

6 Stack, M. K., 2002. Israel Once More Forces Arafat Into House Arrest. Los Angeles Times. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.latimes.com/archives/la-xpm-2002-jun-11-fg-izpals11-story.html

7 ჯავახიშვილი დ. და სხვები., 2014. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი: უნივერსალი, გვ. 15.

8 Pletcher, K., 2019. Aung San Suu Kyi. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/biography/Aung-San-Suu-Kyi

9 Wade, S., 2018. Nizhny Novgorod: Soviet ''closed city'' teems with tourists. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://apnews.com/847f81d25c7d4743b9e7ae2ff6070789/Nizhny-Novgorod:-Soviet-%27closed-city%27-teems-with-tourists

10 Roman Polanski begins house arrest in Swiss chalet. The Guardian, [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020] ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/film/2009/dec/04/roman-polanski-house-arrest-switzerland

11 Schmidt, A., 1998. Electronic monitoring: What does the literature tell us?. Federal Probation, 62 (2), p. 10.

კი, კერძოდ, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურში, სამხრეთ აფრიკაში, შვედეთსა და ჰოლანდიაში, ყოველ წელს მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც შინაპატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული, ცვალებადი იყო.[12] ამ სასჯელის იდეის წარმოშობას უკავშირებდნენ სატრანსპორტო დანაშაულს. კერძოდ, თავდაპირველად ეს სასჯელი გამოიყენებოდა ალკოჰოლზე დამოკიდებული მძღოლებისთვის, რადგან დღის გარკვეულ საათებში არ ყოფილიყვნენ გარეთ, შესაბამისად, არ ემართათ საჭე ნასვამ მდგომარეობაში.[13]

ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, ზოგ ანგლო-საქსურ ქვეყანაში შინაპატიმრობა გამოიყენება, როგორც არასრულწლოვანთა, ისე სრულწლოვანთა მიმართ. მისი ძირითადი მიზანია არასრულწლოვანთათვის ციხის მანკიერი ზემოქმედების აცილება. ამ სასჯელს ხშირად ემატება დაცვის ღონისძიება, დაზარალებულისთვის ზიანის კომპენსირების ჩათვლით. ამერიკელები სიამაყით მიუთითებენ 1981 წლის აგვისტოში კუიატოგას საგრაფოში (ოჰაიო) ჩატარებული ექსპერიმენტის იმედის მომცემ და წარმატებულ შედეგებს რეციდივის თავიდან აცილების თვალსაზრისით. შინაპატიმრობის მისჯის შემდეგ აქცენტი გადადის სწავლაზე, სპორტზე და თავისუფალი დროის გატარებაზე. ამით კი კანონმდებლები ცდილობენ მაქსიმუმამდე შეზღუდონ თავისუფლების აღკვეთა.[14] აღნიშნული სასჯელის დადებითი ეფექტების გათვალისწინებით, შინაპატიმრობა იუვენალურ იუსტიციაში თანდათან მთელ მსოფლიოში გავრცელდა. საბედნიეროდ, ამ ქვეყნებს შორის დღეს საქართველოცაა.

2. შინაპატიმრობის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობების დაკისრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.[15]

შინაპატიმრობის შეფარდების დროს ,,სწორი (მოწესრიგებული) ცხოვრების" პირობა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი, რომელიც უნდა შესრულდეს დამნაშავის მიმართ. ,,მოწესრიგებული ცხოვრების" ცნება, მართალია, ძალიან ზოგადია, მაგრამ მოსამართლემ ამ სასჯელის შეფარდებით და გარკვეული მოვალეობების დაკისრებით სამართლებრივი ნდობა უნდა გამოუცხადოს მსჯავრდებულს.[16] ე.წ. ,,პეკინის წესების" მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულ-

12 Dodgson, K. & Mortimer, E., 2000. Home detention curfew – The First Year of Operation. p. 110.
13 Sentencing – Alternative Sentencing. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html
14 პრადელი, ჟ., 1999. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი: სანი, გვ. 484.
15 მუხლი 69, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15
16 ივანიძე, მ. და სხვები, 2014. ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი). მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 36.

წლოვანი დამნაშავის ცხოვრება იყოს შინაარსიანი, დროის იმ პერიოდში, როდესაც ის ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი საქციელისკენ, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს.[17] ამ სასჯელის მიზანია მსჯავრდებულს საშუალება ჰქონდეს იაროს სასწავლო დაწესებულებაში, სამსახურში, მივიდეს პრობაციის ცენტრებში, შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გაიაროს სამკურნალო კურსი ნარკოტიკზე,[18] ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემთხვევაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უფლებამოსილია არასაპატიმრო სასჯელთან ერთად მას დააკისროს ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც, დიდი ალბათობით, არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. აღნიშნული მოვალეობები, ხელს უწყობს სასჯელის მიზნების მიღწევას. კერძოდ, როგორიცაა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება; სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება; საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა; თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება და ა.შ.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილდეს 45-ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობაზე, რომელიც ითვალისწინებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვას. შინიდან გასვლის აკრძალვა სხვა არაფერია თუ არა შინაპატიმრობა. სასჯელის სახე და სასჯელთა ერთად დასანიშნი მოვალეობა, რომ იდენტური შინაარსისაა, არ არის სწორი. ამ ორ ინსტიტუტს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ერთი არის სასჯელი, ხოლო მეორე ისეთი ღონისძიება, რომელიც სასჯელს უნდა დაეხმაროს, რომ მისი მიზნები უკეთ შესრულდეს. კოდექსით მოსამართლეს დამატებითი სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის შესაძლებლობა ისედაც აქვს და ეს ამ მხრივაც წინააღმდეგობრივია. სასჯელის და დამატებით დასანიშნი მოვალეობის შინაარსის იდენტურობა არ არის მართებული.

გარდა ამისა, 45-ე მუხლში მოცემულ აკრძალვებისა და ვალდებულებების ვადას კანონმდებელი არ განსაზღვრავს. ნორმა მეტად განჭვრეტადი იქნებოდა ეს ვადა დაკონკრეტებული რომ იყოს, მაქსიმუმი ზღვარი მაინც, რადგან ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაპატიმრობა და შინიდან გასვლის აკრძალვა იდენტურია თავისი შინაარსით. შინაპატიმრობა კი არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, შესაბამისად, შინიდან გასვლის აკრძალვაც მაქსიმუმ ამ ვადით უნდა იყოს გამოყენებული. უმჯობესია, ეს პირდაპირ იყოს მითითებული კოდექსში, რადგან ნორმის ანალიზი არ უხდებოდეს მოსამართლეს და იმის მიხედვით არ ნიშნავდეს აღნიშნულ აკრძალვას. პრაქტიკაში შესაძლებელია განაჩენში სულაც არ იყოს აღნიშნული რა ვადით ეკისრება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს მოვალეობა. ამით მოსამართლე კანონს არ დაარღვევს და ასეთ დროს გაუგებარი იქნება დამატებითი ვალდებულების შესრულების ვადა. უნდა ვიგულისხმოთ რომ ეს ვადა

17 Rule 1. 2, 1985. United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly resolution 40/33 of 29 November.

18 პრადელი ჟ., 1999. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი: სანი, გვ. 431.

იგივეა რაც სასჯელის ვადა? ვალდებულების შესრულება არის სასჯელის თანმდევი დამატებითი ღონისძიება? ამ კითხვებზე პასუხი კოდექსში არ გვაქვს.

ასევე, აღსანიშნია, რომ 45-ე მუხლში მოცემული აკრძალვებისა და ვალდებულებების დაკისრება არ უკავშირდება დანაშაულთა კატეგორიას, მათ შორის, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვის შემთხვევაში, მაშინ როდესაც არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

საყურადღებოა, ასევე, აღსრულების საკითხი. შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არის ელექტრონული მონიტორინგი, მაშინ როდესაც მსგავსი შინაარსის ვალდებულება არ ითვალისწინებს ელექტრონულ ზედამხედველობას. უფრო მეტიც, კანონმდებელი არც სხვა აღსრულების მექანიზმს გვთავაზობს. გაუგებარია, როგორც უნდა მოხდეს ამ ვალდებულების შესრულების კონტროლი. ნორმა, რომელიც მოკლებულია სათანადო განხორციელების შესაძლებლობას, მისი კანონმდებლობაში არსებობა, არ არის გამართლებული. მიზანშეწონილია, კოდექსში გაზიარებულ იქნეს საერთო მიდგომები და ერთი და იგივე შინაარსის საკითხები სხვადასხვანაირად არ იყოს დარეგულირებული.

საინტერესოა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა. მაგალითად, დამატებითი ღონისძიებების დაკისრების დროს კოსოვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სამი ტიპის ინტენსიური მეთვალყურეობის ღონისძიებას: ინტენსიური კონტროლი მშობლის, მშვილებლის ან მეურვის მხრიდან; ინტენსიური ზედამხედველობა სხვა ოჯახის მხრიდან; და ინტენსიური კონტროლი მეურვეობის ორგანოს მხრიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მეურვეობის ორგანოს მოვალეობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ და მოიცავს ბავშვის განათლების კურირებას, პროფესიული მომზადების და დასაქმების ხელშეწყობას, ასევე უზრუნველყოფას, რომ ბავშვი მოცილებული იყოს არასასურველ ზეგავლენას სხვა მოვალეობებს რომლებიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.[19] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლით – ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების კონტროლს უზრუნველყოფს სააგენტო.[20] დამატებით გაანალიზებას საჭიროებს, რესურსების დაზოგვის მიზნით, ზოგიერთი მოვალეობის განხორციელებაზე კონტროლი დაეკისროს სააგენტოსთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად სხვა პირს, ისეთს, როგორიცაა მშობელი, მეურვე და ა.შ.

3. შინაპატიმრობის დამატებითი სასჯელი სახით დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ხოლო ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოები-

19 Article 23, Juvenile Justice Code of Kosovo. 04/2004. #06/L–006. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://md.rks-gov.net/desk/inc/media/B5AFE545-3908-4F63-98E0-0A8DD593B499.pdf

20 მუხლი 45, ნაწილი 3, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15

სათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ასევე, ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ 1 დამატებითი სასჯელის დანიშვნა.[21]

შინაპატიმრობა, როგორც დამატებითი სასჯელი, რა შემთხვევაში შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, კოდექსით დარეგულირებული არ არის. დამატებით გაანალიზებას საჭიროებს ეს საკითხი. სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს, რამდენად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი სასჯელი? სისხლის სამართლის კოდექსის 471 მუხლის მეოთხე ნაწილიც, რომლის მიხედვითაც – თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს შინაპატიმრობას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით – განაჩენით დანიშნული შინაპატიმრობის ვადით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.[22] ამ ნორმის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შინაპატიმრობაზე მძიმე სასჯელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არის თავისუფლების აღკვეთა, რადგან სასჯელზე თავის არიდების შემთხვევაში კანონმდებელი მსჯავრდებულს ,,სჯის" და უფრო მძიმეს უფარდებს. ეს მძიმე კი ამ შემთხვევაში მხოლოდ საპატიმრო სასჯელია. ამას ადასტურებს აქვე მოცემული გაანგარიშებაც – შინაპატიმრობის აღკვეთის ერთი დღე ტოლია თავისუფლების აღკვეთის ერთი დღის.

თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე, რომელიც ასევე თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს, სანამ გაუქმდებოდა, გამოიყენებოდა მხოლოდ როგორც ძირითადი სასჯელი. შესაბამისად, გამოდიოდა ისე, რომ თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული სასჯელები (თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების შეზღუდვა) მსჯავრდებულს ენიშნებოდა, მხოლოდ როგორც ძირითადი სასჯელი. მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს გაზიარებული შინაპატიმრობასთან მიმართებითაც. გაურკვეველია კანონმდებლის მიზანი, თუ რატომ უნდა იყოს გამოყენებული შინაპატიმრობა, როგორც დამატებითი სასჯელი.

თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე სასჯელის სახეა. სიმძიმის მიხედვით, ლოგიკურია თუ მას შემდეგ, ისეთ სასჯელებს მოვიაზრებთ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს. ასეთებია: თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც უკვე გაუქმებულია და შინაპატიმრობა. როდესაც ადამიანს გადაადგილების თავისუფლება ეზღუდება და აქედან გამომდინარე ავტომატურად სხვა უფლებებიც, ვერ ჩაითვლება უფრო მსუბუქ სასჯელად, ვიდრე ის სასჯელები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების შეზღუდვასთან.

გარდა ამისა, სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების შეზღუდვასთან, თავისი არსით უფრო მსუბუქია, ვიდრე შინაპატიმრობა. შესაბამისად, თუ ძირითად სასჯელად გამოვიყენებთ, ჯარიმას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, დამატებითი სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნა არ იქნება სწორი, რადგან ძირითად სასჯელად უფრო მსუ-

21 მუხლი 67, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15

22 მუხლი 471, ნაწილი 4, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217

ბუქის დანიშვნა, ვიდრე დამატებით სასჯელად, გაუმართლებელია.

შინაპატიმრობა რომ უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე ჯარიმა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ამას მოწმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც. კერძოდ, 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.[23] ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მესამე ნაწილით კი – თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.[24] შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ჩამოთვლილი სასჯელთა სახეები უფრო მძიმეა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე, რადგან სასჯელზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში კანონმდებელი მსჯავრდებულს ,,სჯის" და უფრო მძიმეს უფარდებს. ამას მოწმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 471-ე მუხლის მე-4 ნაწილიც – თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს შინაპატიმრობას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით – განაჩენით დანიშნული შინაპატიმრობის ვადით....[25] აქედანაც ირკვევა, რომ შინაპატიმრობაზე მძიმე სასჯელი არის მხოლოდ – თავისუფლების აღკვეთა.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ბუნდოვანია, დამატებით სასჯელად შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, ვრცელდება თუ არა ეს შეზღუდვა თუ ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც შინაპატიმრობა ინიშნება, როგორც ძირითადი სასჯელი? ამ კითხვაზეც კოდექსში პასუხი არ გვაქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შინაპატიმრობის გამოყენება დამატებით სასჯელად არ არის მართებული.

4. შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლოვანთათვის ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის დროს შინაპატიმრობის დანიშვნა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საინტერესო იქნება განხილულ იქნეს რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც არის საკანონმდებლო ხარვეზი იმ კუთხით, რომ სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის სახედ გამოიყენოს შინაპატიმრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილი (ქურდობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში – წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის; ბინაში უკანონო შეღწევით; სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) სასჯელის სახედ და ზომად

23 მუხლი 42, ნაწილი 6, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217

24 მუხლი 44, ნაწილი 3, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217

25 იქვე, მუხლი 471, ნაწილი 4.

ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე. შესაბამისად, ეს არის მძიმე კატეგორიის დანაშაული. შინაპატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა ამ შემთხვევაში არ არის, რაც არ არის მართებული. აღნიშნული დანაშაული არასრულწლოვნებში ფართოდ არის გავრცელებული. მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობა, რა თქმა უნდა, ამძიმებს დანაშაულს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მაინც არ უნდა იყოს ეს შინაპატიმრობის გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი. მაგალითად, ჯგუფურობის დროს, არასრულწლოვნები ერთმანეთს უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისკენ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ დანაშაულის ძალიან ხშირია ამ ქმედების ჩადენის დროს და 177-ე მუხლის პირველი ნაწილისგან საშიშროების თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება. სწორედ, რომ დროის გარკვეული პერიოდის სახლში გატარების შესაძლებლობა და ზოგიერთ თანატოლთან კავშირის შეზღუდვა იქნებოდა ამ შემთხვევაში სასჯელის მიზნების მიღწევის კარგი საშუალება. ამის ნაცვლად, კი დღევანდელი რედაქციით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი) მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლით, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.[26] თუ ამ ნორმით იხელმძღვანელა სასამართლომ და დანიშნული სასჯელი ჩაუთვალა პირობით, ვერც ეს იქნება სწორი. სასჯელის მიზნების მიღწევის შანსი ამ შემთხვევაშიც მცირდება, რადგან მსჯავრდებული თავისუფალია, მისი თავისუფალი დრო უკონტროლოა, რაც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს ისევ წარმოშობს. იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირს, ამ შემთხვევაში თავისუფლების აღვეთა, პირობითი მსჯავრით შეუცვალოს, საერთოდ არ იქნება გადაჭარბებული თუ შინაპატიმრობის დანიშვნის შესაძლებლობა ექნება. ეს საკანონმდებლო ხარვეზია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საინტერესოა, განხილულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კიდევ ერთი რეგულაცია, როდესაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ჯარიმა და გამასწორებელი სამუშაო. ასეთი მუხლი კოდექსში არის მაგალითად, 124-ე მუხლი – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.[27] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სასჯელის სახით არ ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს. რაც შეეხება ჯარიმას, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. უმეტეს შემთხვევაში ასეთი შემოსავალი არასრულწლოვანს არ აქვს. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოსამართლე? რომელი სასჯელი უნდა შეეფარდოს ამ დროს მსჯავრდებულს? თუ ისევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუ-

26 მუხლი 74, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15

27 მუხლი 124, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი:

ხლს მივუბრუნდებით, რომლითაც მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, ესეც ვერ იქნება გამოსავალი, იმიტომ, რომ ასეთი გარემოებები შეიძლება არ არსებობდეს. ასევე, რთულია იმის დადგენა, თუ რომელია ჯარიმაზე უფრო მსუბუქი სასჯელი არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის. არის ასეთი სასჯელი შინაპატიმრობა? არა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს. შესაბამისად, შინაპატიმრობა ამ და მსგავს მუხლებში პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ასეთი გაუგებრობა არ წარმოიშვას.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში არსებობს ისეთ მუხლებიც, მაგალითად, 142-ე მუხლი (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), რომელიც სასჯელის სახედ ჯარიმისა და გამასწორებელი სამუშაოს გარდა, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. როგორც ზემოთ იქნა განხილული, იმ პირობებით ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებული იქნება სასჯელის სახედ გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც ეს სასჯელი შეიძლება არ იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. ასევე, ვერ უძლებდეს იმ ტესტს, რომელიც ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში გვაქვს მოცემული. კერძოდ, კონვენციის 37-ე მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით, თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკიდურესი ზომა შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ამ სასჯელის დანიშვნის ვალდებულებას კანონმდებელი მოსამართლეს არ უნდა აკისრებდეს. ესეც მნიშვნელოვანი ხარვეზია.

უფრო რთული მდგომარეობაა მაშინ, როდესაც მოსამართლე არასრულწლოვანს ცნობს დამნაშავედ ისეთ დანაშაულში, რომელიც არის ნაკლებად მძიმე კატეგორიის და თავისუფლების აღკვეთის გარდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არსებულ არცერთ სასჯელის სახეს არ ითვალისწინებს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ჩადენილი: ა) ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით; ბ) არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.[28] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი, როგორც უკვე იქნა განხილული, ამ შემთხვევაშიც არ გამოგვადგება, რადგან მოსამართლემ რომ დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, კუმულატიურად ორი პირობა უნდა არსებობდეს – კანონთან კონფლიქტში პირი მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა იყოს გამოტანილი და უნდა არსებობდეს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. ამ შემთხვევაში კი დამამძიმებელ გარემოებებთან გვაქვს საქმე.[29] როგორც უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ

25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217

28 მუხლი 187, ნაწილი 2, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217

29 ივანიძე, მ., თოდუა, ნ., ვარძელაშვილი, ი. და მახარობლიძე, თ., 2017. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა. თბილისი: მე-

დროს? ამაზე პასუხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ გვაქვს. ალბათ, ამ შემთხვევაში ყველაზე სწორი იქნება მოსამართლემ იხელმძღვანელოს ზოგადი დანაწესით, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველ ნაწილშია მოცემული ანუ გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და ისე შეუფარდოს 66-ე მუხლში მოცემული, რომელიმე სასჯელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლიდან განსხვავებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აუცილებელი არ არის სასამართლომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს სამართლიანი სასჯელი დაუნიშნოს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში. აქ მთავარია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ინდვიდუალური შეფასების ანგრიში იქნას გათვალისწინებული, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კოდექსის ამომავალ პრინციპს – არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილსა და სხვა მსგავს შემთხვევებში, სასჯელის სახით გათვალისწინებული იყოს შინაპატიმრობა.

დასკვნა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათი ასაკობრივი განვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შედარებით ლმობიერ, ფაქიზ და გაცილებით მეტ ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს ზრდასრულებთან შედარებით. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ცალკე არსებობს. საქართველოში 2015 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იყო ცალკე თავები, რომლებიც ეძღვნებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეულ საკითხებს. ახლა კი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არსებობს სპეციალური საკანონმდებლო აქტი არასრულწლოვნებისთვის, რაც ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით და ემსახურება მართლმსაჯულების მაღალ სტანდარტს, თუმცა, აუცილებელია, კანონის ნორმებისა დახვეწა და მისადაგება ამა თუ იმ გარემოებებზე.

კოდექსში ერთ-ერთი ასეთი საკითხი, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს არის შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. დაუშვებელია, რომ სასჯელის სახე და დამატებითი ღონისძიება იდენტური შინაარსის იყოს. ამასთან, კოდექსში მეტი ინფორმაცია უნდა იყოს სასჯელთან დასანიშნი დამატებითი ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორიცაა, ღონისძიებების მოქმედების ვადა და დანაშაულთა კატეგორიები მათი დაკისრების დროს. აგრეთვე, დამატებით გაანალიზებას საჭიროებს შინაპატიმრობის დამატებით სასჯელად დანიშვნის შესაძლებლობა იუვენალურ იუსტიციაში. სანქცია, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს და მის შემდეგ ყველა მძიმეა სასჯელთა ნუსხაში, არ არის მიზანშეწონილია, რომ დამატებითი სასჯელის სახით იყოს გამოყენებული. გარდა ამისა, შინაპატიმრობის დანიშვნის ზოგადი დანაწესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დაფიქრებას საჭიროებს ცალკეულ დანაშაულთა შემთხვევის დროს.

ნებისმიერი ქვეყნის მომავალს განსა-

რიდიანი, გვ. 92.

ზღვრავს ახალგაზრდა თაობის აღზრდა. ამაში დიდი როლი, ოჯახისა და სკოლის გარდა, სახელმწიფომაც უნდა შეასრულოს. მოზარდებზე ზრუნვა მსოფლიო ქვეყნების პრიორიტეტია, შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს არასრულწლოვნის ცხოვრებაში. აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ცვლილებები განხორციელდეს რიგი საკითხების, მათ შორის, შინაპატიმრობის დანიშვნისას არსებული ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით. ამით კანონმდებელი მეტად დაადასტურებს მის მისწრაფებას მაღალი სტანდარტების არასრულწლოვანთა კანონმდებლობის შექმნისკენ.

Notes:

1. Tskitishvili, T. & Others, 2016. For the issue of sentencing. Guram Nachkebia – 75, Anniversary collection, Tbilisi: Meridiani, p. 22. (in Georgian)
2. Khubua, G., 2015. contra legem on behalf of Georgia. InterpressNews news agency. [viewed 30 april 2020]. Available from: https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/ (in Georgian)
3. Khubua, G., 2004. Theory of Law. Tbilisi: Meridiani, p. 67. (in Georgian)
4. Lekveishvili, M. & Others, 2011. Purposes of Punishment and Criminal and Criminological Aspects of Punishment. Justice and Law, 4(43), Tbilisi: p. 22. (in Georgian)
5. The trial of Galileo Galilei. [viewed 30 april 2020]. Available from: http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm (in English)
6. Stack, M. K., 2002. Israel Once More Forces Arafat Into House Arrest. Los Angeles Times. [viewed 30 april 2020]. Available from: https://www.latimes.com/archives/la-xpm-2002-jun-11-fg-izpals11-story.html (in English)
7. Javakhishvili, D. & Others, 2014. Issues of New and Recent History. Tbilisi: Universal, p. 15. (in Georgian)
8. Pletcher, K., 2019. Aung San Suu Kyi. [viewed 30 april 2020]. Available from: https://www.britannica.com/biography/Aung-San-Suu-Kyi (in English)
9. Wade, S., 2018. Nizhny Novgorod: Soviet ''closed city'' teems with tourists. [viewed 30 april 2020]. Available from: https://apnews.com/847f81d25c7d4743b9e7ae2ff6070789/Nizhny-Novgorod:-Soviet-%27closed-city%27-teems-with-tourists (in English)
10. Roman Polanski begins house arrest in Swiss chalet. The Guardian, [viewed 30 april 2020]. Available from: https://www.theguardian.com/film/2009/dec/04/roman-polanski-house-arrest-switzerland (in English)
11. Schmidt, A., 1998. Electronic monitoring: What does the literature tell us?. Federal Probation, 62(2), p. 10. (in English)
12. Dodgson, K. & Mortimer, E., 2000. Home detention curfew – The First Year of Operation. p. 110. (in English)
13. Sentencing – Alternative Sentencing. [viewed 30 april 2020]. Available from: http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html (in English)
14. Pradeli, J., 1999. Comparative Criminal Law. Tbilisi: Sani, p. 484. (in Georgian)
15. Article 69, Juvenile Justice Code. [viewed 30 april 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15 (in Georgian)
16. Ivanidze, M. & Others, 2014. Alternative sentences (comparative analysis). Mzia Lekveishvili – 85, Anniversary collection, Tbilisi: The world of lawyers, p. 36. (in Georgian)
17. Rule 1. 2, 1985. United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (“The Beijing Rules”), Adopted

by General Assembly resolution 40/33 of 29 November. (in English)
18. Pradeli, J., 1999. Comparative Criminal Law. Tbilisi: Sani, p. 431. (in Georgian)
19. Article 23, Juvenile Justice Code of Kosovo. 04/2004. #06/L–006. [viewed 30 april 2020]. Available from: https://md.rks-gov.net/desk/inc/media/B5AFE545-3908-4F63-98E0-0A8DD593B499.pdf (in English)
20. Article 45 (3), Juvenile Justice Code. [viewed 30 april 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15 (in Georgian)
21. Article 67, Criminal Code of Georgia. [viewed 30 april 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217 iIn Georgian)
22. Ibid, Article 471 (4).
23. Ibid, Article 42 (6).
24. Ibid, Article 44 (3).
25. Ibid, Article 471 (4).
26. Article 74, Juvenile Justice Code. [viewed 30 april 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=15 (in Georgian)
27. Article 124, Criminal Code of Georgia. [viewed 30 april 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=217 (In Georgian)
28. Ibid, Article 187 (2).
29. Ivanidze, M., Todua, N., Vardzelashvili, I. & Makharoblidze, T., 2017. Analysis of Juvenile Legislation and Judicial Practice. Tbilisi: Meridiani, p. 92. (in Georgian)